Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

2021 წლის მარტის თვეში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ განხორციელებულა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონით საქართველოს მთავრობაზე უფლებამოსილების დელეგირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

საკონსტიტუციო საჩივრის ავტორები მიუთითებდნენ, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს შრომითი უფლებების ორგანული კანონის საფუძველზე მოწესრიგების ვალდებულებას ამიტომ, სწორედ ამავე გზით უნდა მოხდეს საქართველოს პარლამენტის მიერ ამ უფლების შეზღუდვის დელეგირება სხვა ორგანოზე. მოსარჩელეთა პოზიციით, საქართველოს მთავრობას, ნაცვლად ორგანულ კანონისა, ორდინარული კანონის საფუძველზე გადაეცა შრომით უფლებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმალურ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ საკითხის ორგანული კანონით ან კანონით მოწესრიგებაზე მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს პარლამენტის შესაძლებლობას, მოახდინოს საკითხის რეგულირების უფლებამოსილების დელეგირება სხვა ორგანოზე, თუმცა, ეს უნდა განხორციელდეს უშუალოდ ანალოგიური ლეგიტიმაციის მქონე საკანონმდებლო აქტით, ამ შემთხვევაში კი, ორგანული კანონით. საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია, რომლის თანახმადაც, „საქართველოს შრომის კოდექსი“ მიუთითებდა შრომითი უფლებების სპეციალური კანონმდებლობით - ამ შემთხვევაში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგების შესაძლებლობაზე და ამ მხრივ, უფლებამოსილების დელეგირება ორგანული კანონის საფუძველზე განხორციელდა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ასეთი მოწესრიგება შეუთავსებელია როგორც უფლებამოსილების დელეგირების ზოგად ფუნქციასა და მიზნებთან, ისე შესაბამისი კონკრეტული საკითხის ორგანული კანონმდებლობით მოწესრიგების კონსტიტუციურ ლოგიკასთან. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი უფლებების მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არ განხორციელებულა სათანადო ფორმით, რაც არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

2021 წლის 4 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხება:

სესხის ხელშეკრულების დადების მომენტი - სასამართლომ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების წარმოშობის მომენტის განსაზღვრისთვის არა მხოლოდ მხარეებს შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებაა საკმარისი, არამედ ხელშეკრულების საგნის - გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის გადაცემა.

მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და სამართლებრივი ძალის აუცილებელი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა

გვაროვნული ნივთის მსესხებლის საკუთრებაში რეალურად გადაცემა, სადავოობის შემთხვევაში, მოსარჩელემ (გამსესხებელმა) უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებაც ფაქტობრივი გარემოებაც.

ხანდაზმულობა - საკითხი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ განსახილველ დავაში ხელშეკრულებაში გამსესხებლად დაფიქსირებული პირი და რეალურად გამსესხებელი პირი სხვადასხვა იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მოვალეს მიმართ წაყენებული იყო წერილობით სესხის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული გამსესხებლის მიერ და არა ფაქტიური გამსესხებლის მიერ, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ უკანასკნელის მიერ სესხის გაცემის თარიღიდან სარჩელის სასამართლოში აღძვრამდე პერიოდი აღემატებოდა ხანდაზმულობის ვადას, რაც წარმოადგენდა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებას (მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული გამსესხებლის მიერ მოთხოვნის განხორციელებისთვის ხანდაზმულობის ვადაში წარდგენილ იქნა პრეტენზია მოვალეს მიმართ).

სასამართლომ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას.

გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა (non reformacio in pejus) - საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო შეიძლება დარწმუნდეს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის უსწორობაში, რომელიც არაა გასაჩივრებული და კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი, სასამართლო ვერ გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამ ნაწილში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა მოთხოვნის შემაფერხებელი გარემოების არსებობა ხანდაზმულობის გამო, მოსარჩელის მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და მოპასუხე მხარეს არ გაუსაჩივრებია დატოვა უცვლელად.

პროცესის ხარჯების მოთხოვნა მთავარ სხდომაზე - სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა. ამგვარად, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა საკასაციო ეტაპზე პროცესის ხარჯების მეორე მხარეზე დაკისრების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოთღხოვნა წარდგენილ იქნა საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not

intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.